



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „ხვამლი“ - თბ „აკადემია“		
გუნდი	თბ „აკადემია“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	09/11/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, ხვამლი არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	თბ „აკადემია“-ს მწვრთნელი	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	ბესიკ ჩინჩალაძე		
მომჩივანი	მსაჯი - ნინო ელოშვილი კიდის მსაჯი - მარიამ გოგუაძე კიდის მსაჯი - გიორგი ირემაშვილი	საჩივარი	მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია : დანართი #2 - ქცევის კოდექსი/არამართებული ქცევა - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება	წითელი ბარათი	საითინგი სხვა ✓ თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	11/11/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის ოფიციალურ პირთა (მსაჯების) საითინგები		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის, ნინო ელოშვილის, საითინგი და სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
2. კიდის მსაჯის, მარიამ გოგუაძის, საითინგი და სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის, საითინგი და სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის ვიდეოჩანაწერი;

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელმა, ბესიკ ჩინჩალაძემ, აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა თამაშის დროს მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირების გამო და თავისი საქციელი ახსნა მატჩის მსაჯის მიერ თამაშის დროს მიღებული(მისი აზრით არასწორი) გადაწყვეტილებებით.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 09/11/2022 გაიმართა ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი თბ „ხვამლი“-სა და თბ „აკადემია“-ს შორის;
2. მატჩის მსაჯის, ნინო ელოშვილის, საითინგისა და სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერის მიხედვით - თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელი, ბესიკ ჩინჩალაძე, თამაშის განმავლობაში აპროტესტებდა მის გადაწყვეტილებებს. თამაშის მე-2 ტაიმში მან გააჩერა თამაში და მოიხმო ორივე გუნდის მწვრთნელები. „ხვამლი“-ს (მასპინძელი გუნდი) მწვრთნელს, რატი ურუშაძეს მოუწოდა რომ, სათამაშო მოედანის პერიმეტრიდან გაეყვანა მაცურებლები, ხოლო „აკადემია“-ს მწვრთნელს, ბესიკ ჩინჩალაძეს, მოუწოდა შეეწყვიტა მსაჯის გადაწყვეტილებების საჯაროდ აპელირება. ნინო ელოშვილის საითინგისა და სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - თამაშის საფინალო სასტვენის შემდეგ დაიწყო სიტყვიერი დაპირისპირება მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეთა შორის, რომელიც შემდეგ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. სიტუაციის განმუხტვის შემდეგ მოედანზე შემოვიდა „აკადემია“-ს გულშემატკივარი (ერთერთი მოთამაშის მშობელი), რომელიც მას(ნინო ელოშვილს) აგრესიული ტონით მიმართავდა „ყველაფერი რაც მოხდა შენი ბრალია!“. თამაშის დამთავრების შემდეგ მომხდარი მოთამაშეთა გუნდური დაპირისპირების შემდეგ, ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ ინციდენტს, კერძოდ : „ხვამლი“-ს ერთერთმა გულშემატკივარმა(სავარაუდოდ მოთამაშის მშობელი) სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა „აკადემია“-ს მოთამაშეს.




3. მატჩის კიდის მსაჯის, მარიამ გოგუაძის, საითინგისა და სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერის მიხედვით - თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელი, ბესიკ ჩინჩალაძე, მთელი თამაშის განმავლობაში აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებებზე.
4. მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის, საითინგისა და სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერის მიხედვით - მას არაერთხელ მოუწია თამაშის დროს მიემართა თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელისთვის, ბესიკ ჩინჩალაძესთვის, რათა მას შეეწყვიტა მსაჯის გადაწყვეტილებების გაპროტესტება, თუმცა მისი მიმართვები არ იქნა გათვალისწინებული ბესიკ ჩინჩალაძის მხრიდან.

სადისციპლინო კომისიამ არსებული ფაქტობრივი მოცემულობების შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელის, ბესიკ ჩინჩალაძის მხრიდან აღდგინი ჰქონდა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის უხეშ დარღვევას, კერძოდ : **მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება**, რამაც გამოიწვია გუნდური ფიზიკური დაპირისპირება მოთამაშეთა შორის და გულშემატკივრების მხრიდან თამაშის მონაწილე პირთა მიმართ აგრესია და სიტყვიერი შეურაცხყოფა. სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა დისციპლინარული დარღვევის შესახებ, იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-თ, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 14.2 პუნქტით და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება :



## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	5(ხუთი) კვირა	წითელი ზარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	15/11/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	დიდი 10-ს მოქმედი ცხრილის მიხედვით XII ტურის შემდეგ.	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ პიროვნებას ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, რაგბის თამაშის დროს ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	15/11/2022
--------------------------	---	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.